დანართი N2

„დამტკიცებულია“

დირექტორის 2012 წლის --21--- ნოემბრის

№ 12 ბრძანებით

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“-ს

ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2012-2018 წწ)

ქ.თბილისი

2012

თავი I

სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"-ს დაფუძნება მიზანი, მისია

მუხლი 1. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი"-ს დაფუძნება

1. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" (შემდგომში ,,საზოგადოებრივი კოლეჯი") დაფუძნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 10 სექტემბრის N176/ნ ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 2. საზოგადოებრივი კოლეჯის მისია და მიზანი

1.საზოგადოებრივი კოლეჯის მისიას წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის - ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა რაც შემდგომში ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით.

2.საზოგადოებრივი კოლეჯის მიზანია ყველა საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, აგრეთვე მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო, ქართული ენისა და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში – პროგრამები) განხორციელება.

3. დასახული მიზნის მისაღწევად, საზოგადოებრივი კოლეჯი:

ა) უზრუნველყოფს თითოეული პროფესიული სტუდენტის განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით;

ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;

გ) ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;

დ) ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას;

ე) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;

ვ) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;

ზ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

თ)ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლას;

ი)ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი II

სტრატეგიული მიმართულება N1 - პროფესიულ სტუდენტთა მომზადება დინამიურ, სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში წარმატებისათვის

მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვა ნებისმიერი სოციალური ფენიდან;

1.პროფესიული სტუდენტებისათვის საინტერესო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, რაც ხელს შეუწყობს კონტიგენტის მუდმივ ზრდას.

2.პროფესიული სტუდენტებისათვის ბონუს პროგრამების შეთავაზების მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება.

3. მარკეტინგისა და კომუნიკაციის სისტემების გაძლიერება;

მუხლი 4. სწავლების პროცესის ხელშეწყობა

1.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პედაგოგთა შერჩევის კრიტერიუმების სრულყოფა შემდგომში პერსონალის კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით.
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის დახვეწა და საჭიროების შემთხვევაში მათი სწავლების პროცესში ჩარევისა და დახმარების ორგანიზება.
3. პედაგოგთა არსებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების შემუშავება და განხორციელება.

მუხლი 5. კურსდამთავრებულთა მიერ ცოდნის, უნარებისა და ფასეულობათა დემონსტრირების და პროფესიული წარმატების უზრუნველყოფის ხელშეწყობა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული გადასინჯვა პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე ორგანიზებულობის და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით.
2. სათანადო სპეციალიზებული ინფრასტრუქტურის შექმნა ზოგადი კომპეტენციების ასათვისებლად.
3. სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტის აქტიურ ჩართვას, ინოვაციური აზროვნების წახალისებას, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას და შეფასების ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების დანერგვას.
4. პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული და ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების სისტემების ამოქმედება როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ისე პროგრამის ფარგლებს გარეთ, როგორიცაა მათი ჩართულობის უზრუნველყოფა სემინარებში, კონფერენციებში, პროფესიონალთა მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, სასწავლო ვიზიტების განხორციელებაში, პროექტების განხორციელებაში და სხვა.

მუხლი 6. კურსდამთავრებულთა და პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა დაწესებულების რეპუტაციის ამაღლების ღონისძიებებში, კონცენტრირება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან საჭიროებებზე

1. საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო ფართისა და ტექნოლოგიების ეფექტური და ინოვაციური გამოყენება.
2. ტრენინგებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეთავაზება პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და საზოგადოების წარმომადგენლებისათვის ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარების საჭიროებების გათვალისწინებით.
3. ახალი პროგრამებისა და სტრატეგიების განვითარება პოტენციურ სტუდენტთა წრის გაფართოების მიზნით, როგორიცაა ინდივიდუალური პროგრამები მობილური სტუდენტებისათვის, ადაპტირებული პროგრამები და სასწავლო გარემოს შექმნა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის, ლიბერალური განათლების პროგრამა.

მუხლი 7. პროფესიულ სტუდენტთა განვითარების ხელშეწყობა

1. დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისათვის კულტურული, სპორტული, გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებათა ორგანიზების სტრატეგიის შექმნა, მათში სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით როგორც დაწესებულების ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
2. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა სოციალური დაცვის მექანიზმების ამოქმედება, კვების ბლოკის მოწყობის, აღჭურვის და სრულად ამოქმედებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

თავი III

სტრატეგიული მიმართულება N2 - შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა ინტელექტუალური, სოციალური და ეკონომიკური კაპიტალის განვითარების მიზნით

მუხლი 8. შემოქმედებითი საქმიანობისა და პრაქტიკის ხელშეწყობა

1. დაწესებულების პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ კვლევების ჩატარების, პრაქტიკების გავლის უზრუნველმყოფი პროექტების ხელშეწყობა და განხორციელება.
2. ინვესტიციების მოზიდვა დაწესებულების მასპეციალიზირებელ სფეროებში სტაჟირებებისა და გაცვლითი პროგრამების განხორციელების მიზნით.

მუხლი 9. დაწესებულების ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური, სოციალური და ეკონომიკური კაპიტალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საზოგადოებისათვის

1. დაწესებულების პროგრამების ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების საავტორო უფლებების დაცვის უზრუნველყოფა;
2. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების, ტექნოლოგიების, გამოგონებების საჯაროობის უზრუნველყოფა ადეკვატური ფორმით, კომერციალიზაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით.
3. საზოგადოების საკონსულტაციო და სხვა სახის მომსახურეობის უზრუნველყოფა დაწესებულების მასპეციალიზებელ სფეროებში და ამისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.
4..დაწესებულების ფარგლებში მიმდინარე კვლევით და შემოქმედებით პროცესებზე საზოგადოების ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

თავი IV

სტრატეგიული მიმართულება N3 - დაწესებულების მატერიალური და ადმიანური რესურსების განვითარება.

მუხლი 10. პერსონალის პროფესიული განვითარება, პიროვნული და პროფესიული პოტენციალის მქონე თანამშრომლების მიღება

1. თანამშრომელთა მოტივაციაზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების მოქნილი სისტემის შემუშავება და დანერგვა.
2. თანამშრომელთა შერჩევის სისტემის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს კანდიდატთა შერჩევის პროცესის სამართლიანობას, ობიექტურობას, გამჭვირვალეობას და მათი ცოდნისა და გამოცდილების სწორად შეფასებას.
3. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეყობისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

4.პერსონალის სამუშაო დატვირთვის შესაბამისობა შრომის ადეკვატურ ანაზღაურებასთან.
5. პერსონალის შრომითი მიღწევების ხელშეწყობა, აღიარება და დაფასება.
6.თანამშრომელთა ხელმძღვანელ პოზიციებზე გადაყვანის და დაწინაურების გამჭვირვალე და სამართლიანი მექანიზმების დანერგვა;
7.თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა განხორციელება.
8. პერსონალის შრომის ანაზღაურების ზრდის მექანიზმების შემუშავება;

მუხლი 11. დაწესებულების აღიარებული მისიის უზრუნველყოფის და ფასეულობების განუხრელი დაცვის მიზნით ადეკვატური სამუშაო გარემოს შექმნა.

1.დაწესებულების მისიის, ფასეულობების, განვითარების გეგმების და შინაგანაწესის პერსონალისათვის სავალდებულო გაცნობის და მათი შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმების გატარება;
2.პერსონალისათვის მოსახერხებელი, უსაფრთხო და სასიამოვნო სამუშაო გარემოს სისტემატური გაუმჯობესება.
3. პერსონალის ჩართვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში, რათა მათ თავი იგრძნონ აკადემიის ორგანულ და მნიშვნელოვან ნაწილად და აიღონ პასუხისმგებლობა მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე.
4.საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება დაწესებულების საქმიანობასა და მართვაში. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულად განხორციელება. ასევე ცოდნის შეფასების და სტუდენტთა მენეჯმენტის ელექტრონული სისტემების დანერგვა, რაც გაზრდის მუშაობის გამჭვირვალეობის ხარისხს და შეამცირებს დანახარჯებს.

მუხლი 12. ინფრასტრუქტურის სრულყოფა

1.დაწესებულების არსებული შენობის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატური მოვლა-პატრონობა.
2. კვების ბლოკისა მოწყობა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება;
3.სასწავლო აუდიტორიების აღჭურვა სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.
4. ბიბლიოთეკის ფონდის სისტემატური განახლება და შევსება.
5. საჭიროების შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი სასწავლო მასალების გამოცემა ბეჭდური და ელექტრონული ფორმით.
6. სპეციალური ინფრასტრუქტურის განვითარება დამხმარე სასწავლო მასალების, მათ შორის განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის მოსახერხებელი სასწავლო მასალების მომზადების მიზნით, როგორიცაა ლექციების აუდიო ჩანაწერები, ვიდეო ლექციები, სასწავლო ფილმები, პრეზენტაციები და სხვა.

თავი V

სტრატეგიული მიმართულება N4 - დაწესებულების ცნობადობის უზრუნველყოფა ქვეყნის შიგნით, რეგიონალურ და საერთაშორისო მასშტაბით.

მუხლი 13. დაწესებულების პოპულარიზაცია და ინფორმაციის საჯაროობა

1. ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნა.
2. დაწესებულების მიერ სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზება როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

3. მონაწილეობის მიღება საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში.
4.საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა, რაც ასევე გულისხმობს უცხოეთის შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა ურთიერთგაცვლის ღონისძიებების გატარებას.

მუხლი 14. დაწესებულების პარტნიორობის განვითარება ქვეყნის შიგნით

1.თანამშრომლობის გაღრმავება პროფესიულ ასოციაციებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან;
2.თანამშრომლობის ფორმების გამოძებნა ანალოგიური პროგრამების განმახორციელებელ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;

მუხლი 15. დაწესებულების პარტნიორობის განვითარება ქვეყნის ფარგლებს გარეთ

1. თანამშრომლობის გზების მოძიება და გაღრმავება უცხო ქვეყნების მსგავსი პროფილის პროფესიულ ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან.
2.თანამშრომლობის ფორმების გამოძებნა ანალოგიური პროგრამების განმახორციელებელ უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;